SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | ნოემბერი-დეკემბერი | 2021 | №14

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

გილოცავთ ახალ 2022 წელს!

მილოცვები / კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ქალაქის ამბები

ნათია თურნავა:

“თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საჭირო, მნიშვნელოვანი პროფესიის წარმომადგენლები ხართ!”

გვ.4

მიხაილ სოცკი:

“ვთვლი, რომ მომდევნო წელს შახტების რეკონსტრუქციის პროცესს დავასრულებთ”

გვ.5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალური პროგრამის ფარგლებში, ამფეთქებლების მომზადება მიმდინარეობს

გვ.6

გაგა ისაკაძე:

„პროფკავშირების მოვალეობა მეშახტეების შრომის უფლებების დაცვა და მათთვის საკუთარი უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა“

ნათია თურნავა

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

ძვირფასო მეშახტეებო!
გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს!

2022 წელს ყველა ახალი იმედებით, გეგმებით და მიზნებით ვხვდებით, რომლებიც საქართველოს წინსვლას, ეკონომიკურ აღორძინებას და ჩვენი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას უკავშირდება. ჯერ კიდევ მიმდინარე პანდემიის გამო, ეს ძალიან შრომატევადი, სირთულეებით სავსე გზა იქნება, მაგრამ მას სწორედ თქვენნაირი ძლიერი, შრომისმოყვარე და ღირსეული ადამიანების დახმარებით, დარწმუნებული ვარ, წარმატებით გავივლით!

თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან საჭირო, მნიშვნელოვანი საქმის და პროფესიის წარმომადგენლები ხართ და მე მოხარული ვარ, რომ ბოლო წელი თქვენთვის არაერთი პოზიტიური სიახლით გამორჩეული აღმოჩნდა. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება ეთმობა თქვენი შრომის უსაფრთხოებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, გაიზარდა ხელფასები, გაუმჯობესდა თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევა...

გასული წელი საკმაოდ რთული და დანაკარგებით სავსე აღმოჩნდა არამარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის - პანდემიამ თავისი ნეგატიური კვალი დატოვა გლობალურად ეკონომიკურ სურათზეც. ბუნებრივია, საქართველოც არ იყო გამონაკლისი, მაგრამ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და გაზაფხულიდან ეკონომიკის გახსნა დავიწყეთ, რამაც უკვე მოგვცა საუკეთესო შედეგი - ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამაში თქვენი მნიშვნელოვანი წვლილიცაა!

დღესდღეობით, ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევა დასაქმებაა და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივაც „საქნახშირი“ გამორჩეული აღმოჩნდა - გაიხსნა ახალი მომპოვებელი უბნები, რამაც დამატებით 100 სამუშაო ადგილი შექმნა. საწარმოში არსებულ წარმატებულ, თანამშრომელთა ინტერესებზე ორიენტირებულ, პოზიტიურ გარემოზე მეტყველებს 2021 წელს საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, რომელიც სწორედ მეშახტეებით არის დაკომპლექტებული და შესაბამისად, თქვენ აქტიურად ხართ ჩართულები საწარმოში მიმდინარე და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში - ეს სრულად შეესაბამება წარმატებული ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტს!

ძვირფასო მეშახტეებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ 2022 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და კიდევ უფრო მეტ წარმატებას როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში!

ბეჭან წაქაძე

ტყიბულის, თერჯოლის, გესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო მეშახტეებო! გილოცავთ ახალ 2022 წელს, გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას თქვენ და თქვენს ოჯახებს. მშვიდობის, ბედნიერების, წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის, ტყიბულის მუნიციპალიტეტისათვის და სრულიად საქართველოსთვის! თქვენი როლი ტყიბულის აღმშენებლობისთვის, განვითარებისთვის და აღორძინებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, 1846 წლიდან მიმდინარეობს ქვანახშირის მოპოვება. მოცემული პერიოდიდან, ტყიბულის ეკონომიკური სიძლიერის ძირითად დარგს ქვანახშირის მოპოვება წარმოადგენს, რომლის მამოძრავებელი და მაცოცხლებელი ძალა თქვენს თავდაუზოგავ შრომაში მდგომარეობს! თქვენი მონდომა ჩვენი განვითარების მომავალია, თქვენი შრომა გმირობის ტოლფასია, ვინაიდან ტრადიცია, რომელიც თქვენმა წინაპრებმა მემკვიდრეობით გადმოგვცეს, შეუფასებელი ღირებულებაა. თითოეული ჩვენგანისთვის ეს ტრადიცია კულტურულ-ეკონომიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ეს კი ტყიბულის გალამაზებისა და ყოველწლიურად გაუმჯობესების საწინდარია.

ჩვენი სიმდიდრე სწორედ თქვენს არსებობაში მდგომარეობს. სწორედ ამიტომ, ჩემი ვალდებულებაა, თქვენი უსაფრთხოება ყოველდღიურად გავაძლიერო და დავიცვა, რათა ერთად შევქმნათ ტყიბულის უწყვეტი აღორძინების პროცესი!

გვიად შალამბერიძე

სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში

გილოცავთ შობა-ახალ წელს. ჯანმრთელობას და კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს. 2022 წელს სიკეთე, სიხარული და წარმატებები მოეტანოს სრულიად საქართველოსთვის!

მადლობა ,,საქნახშირის“ ყველა თანამშრომელს, თითოეულ მეშახტეს დაუღალავი შრომისთვის. პანდემიის მიუხედავად, თქვენ ჩვეული ტემპით მუშაობთ და ამ რთულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში საკუთარი წვლილი შეგაქვთ. სახელმწიფო, კომპანიასთან თანამშრომლობით, ყველაფერს აკეთებს, რომ თითოეული დასაქმებულის შრომისა და უსაფრთხოების პირობები იყოს დაცული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 2022 წელს, გისურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმეში!

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო მეშახტეებო და ჩემო ტყიბულელებო, მინდა სულითა და გულით მოგილოცოთ ახალი წელი! მჯერა, რომ ის წინსვლის, განვითარებისა და ახალი შესაძლებლობების მომტანი იქნება. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიკეთით სავსე ახალ წელიწადს. ჩვენთვის უმნიშნელოვანესია თქვენი კეთილდღეობა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარება, რათა ჩვენი ცხოვრება უკეთესი და საინტერესო გავხადოთ!

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ძვირფასო მეშახტეებო, ჩემო თანამემამულენო!

გილოცავთ დამდეგ 2022 წელს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, ბარაქას, სითბოს და სიყვარულს თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს და ჩვენს სამშობლოს. ახალ წელს იმედით და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით ვხვდებით. ვისურვებდი, რომ ეს მოლოდინები ყველას გაგვმართლებოდეს. ტყიბულის შახტა, თითოეული თქვენგანის თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების, წინსვლისა და გაძლიერების საქმეში.

მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით შევძლებთ, რომ უკეთეს ტყიბულში ვიცხოვროთ. რთული ეპიდემიური სიტუაციის მიუხედავად, რომელმაც არამარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო შეცვალა, ვიმედოვნებ, რომ ახალი 2022 წელი უფრო საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო ცვლილებებით დატვირთული წელი იქნება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, სიკეთე, სიყვარული და მშვიდობა არ მოჰკლებოდეს საქართველოს! უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

გურაბ აღდგომელაშვილი

„კოალ ჯეორჯიას“ დირექტორი

ძვირფასო მეშახტეებო, ძვირფასო ტყიბულელებო, გილოცავთ 2022 წლის დადგომას. წარმატებულ, ნაყოფიერ და სიხარულით სავსე წელს გისურვებთ. იმედი მაქვს, მომავალი წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტი კვლავ თითოეული მეშახტის კეთილდღეობა, უსაფრთხო სამუშაო გარემო და უკეთესი მომავალია. ერთმანეთის თანადგომით, 2022 წელს ჩვენ ყველა გამოწვევას გადავლახავთ.

მეუფე გიორგი შალამბერიძე

ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი

დამდეგ შობა ახალ წელს გილოცავთ მეშახტეებო! 2022 წელი ჯანმრთელობის, სიმშვიდის, სიხარულის, სიკეთის, სიყვარულის მომნიჭებელი იყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ეპარქიისთვის და სრულიად საქართველოსთვის.

წარმატებულ და ბედნიერ წელს გისურვებთ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

2021 წლის შეჯამება

2021 წელი "საქნახშირისთვის" გამოწვევებით სავსე წელი იყო, თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობამ, თავდაუზოგავი შრომისა და მიმდინარე პროცესებში დასაქმებულების აქტიური ჩართულობის წყალობით, ამ გამოწვევებთან გამკლავება და წარმატებების მიღწევა შეძლო. 2021 წლის მსგავსად, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობაში თანამშრომლების მაქსიმალური ჩართულობა 2022 წელსაც უმთავრესი პრიორიტეტი იქნება. "საქნახშირის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი გასულ წელს აფასებს:

„შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ რთული წელი იყო, გამოწვევებით სავსე. პანდემიასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გარკვეული შეფერხებები გამოიწვია, რაც გეგმების განხორციელებას და დანადგარების შემოტანას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს. გარდა ამისა, თანამშრომლების დიდი ნაწილი ბიულეტენზე იმყოფებოდა და ეს გეგმების შესრულებას აფერხებდა. თუმცა, მთლიანობაში, წლის ბოლოს არც ისე ცუდი მაჩვენებლები გვაქვს.

მიუხედავად ყველაფრისა, შახტის რეკონსტრუქცია გაუჩერებლად მიმდინარეობს. ვთვლი, რომ მომდევნო წელს რეკონსტრუქციის პროცესს დავასრულებთ. მოპოვების მოცულობა დასახულ მიზანს უახლოვდება. ჩემი გათვლით, მომდევნო წლის გაზაფხულზე გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ახალ მაჩვენებლებზე უნდა გადავიდეთ. მართალია არიან პესიმისტურად განწყობილი ადამიანები, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ მოპოვების რაოდენობა 27000 ტონა გახდება, მაგრამ 2022 წლის გაზაფხულზე აუცილებლად გავალთ ამ რაოდენობაზე.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ უპირველესი პრიორიტეტი ჩვენთვის უსაფრთხოების წესების დაცვაა, მეორე პრიორიტეტი კი საჭირო რაოდენობის მოპოვება. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი განხორციელდეს და მივაღწიოთ დასახულ მიზანს, საჭიროა დისციპლინა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს, მაგრამ სრულ შედეგამდე კიდევ გვაქვს სამუშაო.

2021 წელს საწარმომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა - შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელმაც წარმატებით დაიწყო მუშაობა და დიდი შედეგი აჩვენა ყველა სიტუაციაში: როგორც ტექნიკური მიმართულებით, ისე დარღვევების გამოვლენის თუ პრემიების განაწილების კუთხით. მინდა ვთქვა, რომ გასული წლის განმავლობაში, საკონსულტაციო საბჭომ საკუთარი თავი გამოსცადა, ბრძოლით და შრომით მიაღწია არც თუ ისე ცუდ შედეგებს. აჩვენა, რომ არის ორგანო, რომლის არსებობაც აუცილებელია შახტის გამართული მუშაობისთვის. შემდეგ წელსაც გავაძლიერებთ ამ სისტემის დანერგვას და განვითარებას, რომ უფრო ძლიერად ამუშავდეს. შახტისთვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი გატანილი იქნება საბჭოზე და გადაწყვეტილებების მიღება მოხდება კოლეგიალურად, თითოეული წევრის ჩართულობით.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ 2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც ძირითადი აქცენტები დისციპლინაზე გაკეთდება. მკაცრი ბრძოლა გამოცხადდება ადრეულ გამოსვლებზე და დიციპლინარულ დარღვევებზე, მათ შორის გაყალბებულ ბიულეტენებზე. ასევე, ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევებზე, საკანონმდებლო და ნორმატიულ დარღვევებზე და ყველაფერზე, რაც საღ აზროვნებას და სწორი მუშაობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

შახტის სრული გადაიარაღება და დისციპლინის ჩამოყალიბება დაგვეხმარება გეგმის შესრულებაში. ჩვენი მიზანია მოპოვება გავზარდოთ 27000-28000 ტონამდე. 2022 წლიდან გამომუშავების სისტემაზე გადასვლას ვგეგმავთ. ამ ეტაპზე ტარიფების განხილვა მიმდინარეობს.

მინდა ყველას მივულოცო ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატებები. იმედი მაქვს, 2022 წელი ყველასთვის ნაყოფიერი და ბედნიერი იქნება.

2021 წლის განმავლობაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები

მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, „საქნახშირში" შახტების განვითარების პროგრამა წარმატებით ხორციელდება. რეკონსტრუქციის სამუშაოები და საწარმოს ახალი ინვენტარით აღჭურვა 2021 წლის გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

2021 წელს განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- ექსპლუატაციაში შევიდა მერვე ველის ქვედა ქვესართული. ჩატარებული სამუშაოებისთვის მადლობა პირველი და მეორე ნახშირმომპოვებელი უბნების თანამშრომლებს.
- „ძიძიგურის" სახელობის შახტის ჭაურზე შეიცვალა წყალქცევის მილ-გაყვანილობების სისტემა (დაახლოებით 300 მეტრი). ამით დასრულდა წყალქცევის კომპლექსის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი და გადავიდა მეორე ეტაპზე. წყალქცევის კომპლექსის მილ-გაყვანილობის რეკონსტრუქცია დაწყებულია „მინდელის" სახელობის შახტზეც. აღნიშნული სამუშაოების დასასრულებლად საჭირო მასალები უკვე შეძენილია.
- წარმატებით ხორციელდება საშახტო ტრანსპორტის აღდგენისა და რეკონსტრუქციის გეგმაც. ამ ეტაპზე, ეს „საქნახშირისთვის" ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ამიტომ, აქტიურად მიმდინარეობს საჭირო მასალების შეძენა და მწყობრიდან გამოსული მანქანა-მექანიზმების ახლით ჩანაცვლება.
- 2021 წლის გეგმის მიხედვით, ექსპლუატაციაში გაეშვა 10-ე და 19-ე ველები (+275 და -300 ჰორიზონტი). აღნიშნული ველები აღჭურვილია სრულიად ახალი დანადგარებით.
- 350 ჰორიზონტზე გახსნილია ახალი გამყვანი სანგრევი.
- კაპიტალურად გარემონტდა სალიანდაგე მეურნეობა.
- გრძელდება ჭაურის რეკონსტრუქცია, შეიცვალა 21 გამბჯენი.
- „მინდელის" სახელობის შახტის ჭაურში განხორციელდა სამაგრის სარემონტო სამუშაოები.
- „ძიძიგურის" შახტზე დამონტაჟდა ახალი „გალი".
- შეძენილია ახალი თვითმაშველები და სანათები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალური პროგრამის ფარგლებში, ამფეთქებლების მომზადება მიმდინარეობს

„საქნახშირში“ ამფეთქებლების მომზადება დაიწყო. ლექციები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტის სპეციალური პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. აღნიშნული პროგრამის მიზანია ამფეთქებლების მომზადება, მათთვის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება. გადამზადების პროგრამით, „საქნახშირის“ გარდა, საქართველოში მოქმედი სხვა საწარმოებიც სარგებლობენ. სწავლებას ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორები ხელმძღვანელობენ.

გელა მაჩაიძე (სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი, სამეცნიერო-საკვლევო საპროექტო ცენტრის „სამთოგეოლოგ პროექტი“ ხელმძღვანელი):

„კანონი ამფეთქებლის შესახებ სპეციალური სტანდარტითა და რეგლამენტით რეგულირდება. აფეთქების წარმოების უფლება ეძლევა მას, ვისაც პროფესიული განათლების სისტემით გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება და გააჩნია შესაბამისი დოკუმენტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ ამფეთქებლების მომზადების სპეციალური პროგრამა შემუშავდა, რომელმაც აკრედიტაცია და ავტორიზაცია გაიარა. ასე რომ, ამფეთქებლები ყველამ აღნიშნული პროგრამით უნდა მოამზადოს. ამჟამად, ამ პროფილის სპეციალისტების მომზადების უფლება მხოლოდ ჩვენს ფაკულტეტს აქვს. ნებისმიერმა საწარმომ, რომელსაც ამ პროფესიის თანამშრომელი სჭირდება, უნდა მიმართოს განათლების სამინისტროს. ხელშეკრულება ფორმდება ტექნიკურ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტი კი უზრუნველყოფს უმაღლესი დონის სწავლებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას. აღნიშნულ სწავლებას სახელმწიფო აფინანსებს.

პროგრამით უკვე სარგებლობენ საქართველოში მოქმედი საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ აფეთქებით სამუშაოებს. გვიგზავნიან დასაქმებულებს და ჩვენ მათ მომზადებას უზრუნველვყოფთ. ფეთქითი სამუშაოების მიმართულება ვითარდება, არის უამრავი სიახლე. უსაფრთხოების წესების მოთხოვნები და ასაფეთქებელი ნივთიერებების შემადგენლობა ყოველწლიურად იხვეწება, უფრო უსაფრთხო ხდება. ამიტომ, საწარმოებმა თანამშრომლები ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა გადაამზადონ. შედეგად, ჩვენ მიერ მომზადებული ამფეთქებელი იქნება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი უნივერსალური შესაძლებლობებით და ექნება უფლება, რომ სამუშაოები ჩაატაროს როგორც მიწისქვეშ, ისე ზედაპირზე, სადაც აფეთქება შეიძლება.

ამ დროისათვის, გადამზადება 45 სამთოელმა გაიარა. ვამზადებთ 15 მსმენელიან ჯგუფებს. „საქნახშირიდან“ ამჟამად 6 თანამშრომელი გადის სწავლებას. მათ დაასრულეს თეორიული კურსი, გადავიდნენ პრაქტიკულ ნაწილზე და მალე მიიღებენ ამფეთქებლის მოწმობას.

ირაკლი გოჩელაშვილი, თეიმურაზ ქვილითაია, ზვიად ენუქიძე, ბესო ბოჭორიშვილი, როინი კარანაი და ბადრი ცნობილაძე (პრაქტიკის ჯგუფის ხელმძღვანელი).

რაც შეეხება სწავლების გეგმას, ისინი დეტალურად, თავიდან ბოლომდე გადიან ყველაფერს - სწავლობენ უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებს, აფეთქების ყველა ნიუანსს (ფეთქებადი ნივთიერებების მიღებიდან, ფეთქითი სამუშაოების ჩატარებისა და ნარჩენი ფეთქებადი ნივთიეერების უკან ჩაბარების ჩათვლით), უსაფრთხოების წესების დაცვას, დამრტყმელი ვაზნის დამზადებას. სხვათა შორის, დამრტყმელი ვაზნის დამზადების და ფეთქითი სამუშაოების წარმოების უფლება მხოლოდ კვალიფიციურ ამფეთქებელს აქვს, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა. აფეთქებაზე ზედამხედველობის უფლება კი ეძლევა მხოლოდ უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება (მაგალითად მარქშეიდერს, საბადოს დამუშავების ტექნოლოგს და შახტმშენებელს). მათ მხოლოდ ზედამხედველობის უფლება აქვთ და არა აფეთქების. ძირითადად, უბედური შემთხვევები აფეთქებითი სამუშაოების დარღვევით წარმოებით იყო გამოწვეული. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიციურის პერსონალის მომზადება.

სწავლების ვადა 3 თვეა, საიდანაც 2 თვე თეორიულ კურსს ეთმობა, ბოლო ერთი თვე კი პრაქტიკულს, რომელსაც ამფეთქებლები დასაქმების ადგილზე გადიან. ლექციები დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს და დასაქმებულების სამუშაო გრაფიკზეა მორგებული. ამან მეტად მოსახერხებელი გახადა განათლების მიღება. სალექციო კურსი კვირაში 6 დღეს მოიცავს. გარდა ამისა, ყოველ კვირას ტარდება ტესტირება, რომ მთელი კვირის განმავლობაში მიღებული ცოდნა შევაჯამოთ.

ლექციებს საქართველოში საუკეთესო სპეციალისტები ატარებენ: პროფესორი თამაზ შარაშენიძე, პროფესორი აკაკი გოჩალეიშვილი, პროფესორი თემურ კუნჭულია, სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ ჩიხრაძე და მე, გელა მაჩაიძე.

კურსის მიმდინარეობით ძალიან კმაყოფილები ვართ. „საქნახშირის“ თანამშრომლები მაქსიმალურად არიან ჩართულები, არ აცდენენ და კარგად იციან სამთო საქმე. კარგი ამფეთქებლები არიან, მოწადინებულები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მალე „საქნახშირს“ უმაღლესი დონის ამფეთქებლები ეყოლება, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ მუშაობის თანამედროვე სტანდარტებს და უსაფრთხოების ზომებს. მეორე ნაკადის გადამზადება იანვრის ბოლოს დაიწყება, ხოლო მესამე ნაკადს გაზაფხულზე ველოდებით.

ამ გაზეთის საშუალებით მინდა მივულოცო ახალი წელი ყველა მეშახტეს, ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და წარმატებული საქმიანობა.“

გაგა ისაკაძე: „პროფკავშირების მოვალეობა მეშახტეების შრომის უფლებების დაცვა და მათთვის საკუთარი უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა“

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი მეტალურგიული, სამთო, ქიმიური, ფეროშენადნობთა, მეორადი ლითონების, ფერადი ლითონების, მანქანათმშენებლობაში დასაქმებულ მუშაკებს აერთიანებს. აღნიშნულ ორგანიზაციას საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავს ტყიბულში, რომლის წევრებიც ტყიბულელი მეშახტეები არიან. ტყიბულის მეშახტეთა პირველადი პროფკავშირების არჩეული თავმჯდომარე ახალგაზრდა მეშახტე, გაგა ისაკაძეა. ის 2017 წლიდან ხელმძღვანელობს ამ ორგანაიზაციას და მეშახტეთა შრომით უფლებებს იცავს.

18 წლის იყო როდესაც მეშახტე გახდა. 2007 წლიდან დღემდე სხვადასხვა პოზიციაზე იყო დასაქმებული, როგორც მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისე მიწისზედა კომპლექსში. ამჟამად ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ცვლის უფროსად მუშაობს. პროფესიული განათლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალში მიიღო. პროფესიით სამთო ტენიკოსია.

გაგა ისაკაძე: „საქნახშირში“ სამუშაოდ 2007 წელს მოვედი. ვარ მეშახტე და დღემდე სხვადასხვა პოზიციაზე ვმუშაობ. 2017 წლიდან ტყიბულის მეშახტეთა პირველადი პროფკავშირების არჩეული თავმჯდომარე გახლავართ. ჩემი და ზოგადად, პროფკავშირების მოვალეობა თითოეული მეშახტის შრომის უფლებების დაცვა და მათთვის საკუთარი უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. ამ მიზნით, ორგანიზაციის წევრებისთვის ხშირად ტარდება გასვლითი ღონისძიებები (ტრენინგები). გარდა ყოველივე ზემოთთქმულისა, სამთო-მეტალურგთა საერთაშორისო ევრაზიული ფედერაციის (IEMF) ორგანიზებით, პროფკავშირის წევრებისთვის ყოველ წელს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში სასწავლო პროგრამა ხორციელდება, რომელშიც პროფკავშირის წევრი ტყიბულელი მეშახტეებიც მონაწილეობენ ხოლმე. გარდა სასწავლო პროგრამისა, თურქეთის მეტალურგთა პროფკავშირის „თურქმეტალის“ მასპინძლობით ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებიც. პანდემიის გამო სასწავლო პროგრამა შეჩერებული იყო უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, თუმცა IEMF-ის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით პროგრამა 2022 წლის პირველი იანვრიდან აღდგება.

რაც შეეხება სოციალურ პროექტებს, ადგილობრივი პროფკავშირის სახელით, პანდემიის დროს, 60 ოჯახს 75 ლარის ღირებულების სასურსათო კალათა გადავეცით. რა თქმა უნდა, ეს მათ სოციალურ მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მსგავსი ღონისძიებები აუცილებელია ადამიანებს შორის თანადგომისა და სოლიდარობის გრძნობის გაძლიერების მიზნით. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ ქალაქის სკვერების, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების, ხიდების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების სადეზინფექციო სამუშაოების პროცესში. მადლობას ვუხდი ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირულ ღონისძიებებში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისგან გვაქვს სრული მხარდაჭერა და ხელშეწყობა მეშახტეების თანადგომისა და მათი უფლებების დაცვისათვის აუცილებელი აქტივობების დაორგანიზების პროცესში.

ჩვენი ქალაქისთვის შახტა ძალიან მნიშვნელოვანია. ქვანახშირის აღმოჩენას უკავშირდება ტყიბულის დაარსება. სწორედ შახტის ირგვლივ გაშენდა ქალაქი. ვთვლი, რომ ამ საწარმოს ფუნქციობა ხელს უწყობს ქალაქის განვითარებას. თუმცა, ქალაქში ალტერნატიული დასაქმების პროგრამების განხორციელება აუცილებელია, რადგან ტყიბულელ ადამიანს არჩევანის საშუალება ჰქონდეს და სხვა სამუშაო ადგილების არარსებობის გამო შახტაში დასაქმება არ გავდეს ბუნებრივ იძულებას.

მიხარია, რომ ერთ დროს, წლების განმავლობაში გაჩერებული შახტები ამუშავდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას, რომელმაც “საქნახშირის” ოპერირება 2019 წელს დაიწყო, პრიორიტეტებს შორის უპირველეს ადგილზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართ მკაცრი დამოკიდებულება აქვს დაყენებული, რამაც აბსოლუტურად შეცვალა საწარმო შემთხვევების აღრიცხვის მაჩვენებლები - 2019 წლიდან დღემდე ადგილი აღარ ჰქონია ტრაგიკულად დასრულებულ საწარმო შემთხვევას. ვფიქრობთ, რომ აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ეს პრაქტიკა და შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით უნდა განხორციელდეს ყველა ახალი პროექტი, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს კომპანია.

უკანასკნელ პერიოდში ადგილი ჰქონდა ხელფასების მატებას, ასევე პროფკავშირსა და კომპანიას შორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება, რომელმაც მეტ-ნაკლებად გააუმჯობესა მეშახტეთა შრომის პირობები.

რა თქმა უნდა, მდგომარეობა იდეალური არ არის და ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, შესაბამისად, იმედს ვიტოვებ, რომ კომპანიის ადმინისტრაცია გააგრძელებს ასეთ კურსს, რაც აუცილებელია როგორც დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მდგრადობის, ასევე მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საწარმოს წარმატებული მუშაობისთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დარგობრივი პროფკავშირის სახელით მეშახტეებს დამდეგი ახალი წელი მივულოცო. მინდა მათ ჯანმრთელობა, ბედნიერება, დოვლათი, ბარაქა, წარმატებები და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო. ვფიქრობ, რომ ერთმანეთისადმი სოლიდარობისა და თანადგომის გამოვლენა შეგვაძლებინებს ყველა იმ გამოწვევის ღირსეულად დაძლევას, რაც კი გზაზე გადაგვეღობება.”

გიორგი კუბლაშვილი: „მზად ვართ დავასაქმოთ ყველა, ვისაც შრომა არ ეზარება“

„საქნახშირის“ მუშაობის მოქნილი გრაფიკი თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, პარალელურად სხვა საქმიანობითაც დაკავდნენ. ახალგაზრდა მეშახტეები, გიორგი კუბლაშვილი და შალვა ფორჩხიძე სახელსონოშიც მუშაობენ, სადაც საოჯახო და საოფისე ავეჯი მზადდება. სხვათა შორის, აღნიშნული სახელოსნო უკვე წლებია ამარაგებს როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტს, ისე რაჭას. სახელოსნოს წარმატებულმა მუშაობამ არაერთი ახალგაზრდა დაასაქმა, მათ შორის მეშახტეებიც.

გიორგი კუბლაშვილი ტყიბულელია, სკოლის დასრულების შემდეგ საიუველირო ნაწარმის კეთება შეისწავლა და სამი წელი ოქრომჭედლად მუშაობდა. ამის შემდეგ, სამუშაოდ სახელოსნოში გადავიდა, ხელობას დაეუფლა და ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა. შახტში მუშაობა 2017 წელს, წყალქცევის უბანში დაიწყო და დღემდე ზეინკალ-ოპერატორის პოზიციაზე მუშაობს.

გიორგი კუბლაშვილი: „ხუთი წელია შახტში ვმუშაობ, ორივე პროფესია გენში მაქვს და ოჯახის ტრადიციასაც ვაგრძელებ. ბაბუა მეშახტე და ხელოსანი იყო (ხის დურგალი), ბიძაც ხელოსანია, მამა კი მეშახტე. მომწონს ჩემი სამსახური, საუკეთესო ადამიანებთან მიწევს მუშაობა. მადლობა ჩემი უბნის უფროსს, ელგუჯა ბუაძეს, რომელიც უანგაროდ გვიზიარებს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას.

ჩვენი ქალაქის არსებობისთვის შახტა დიდი ძალაა. მისი დამსახურებით ქალაქში სიცოცხლის ხალისია. შემიძლია ვთქვა, რომ „საქნახშირის“ ხელფასმა გამაზრდევინა შვილები, ორი პატარა კაცი. ჩემი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო შახტიდან მიღებული ჰონორარია. შახტაში მიღებული ხელფასი ჩემი მეუღლისთვის და შვილებისთვისაა განკუთვნილი.

პარალელურად, ჩემს სახელესონოში ვსაქმიანობ, სადაც ძირითადად ახალგაზრდები ვმუშაობთ. საუკეთესო, მეგობრული გუნდი ვართ. გვიყვარს ჩვენი ქალაქი. არსად წავსულვართ, აქ ვცხოვრობთ და მშობლიურ მხარეს ვემსახურებით.

ზოგადად, შრომისმოყვარე ადამიანები ძალიან ჭირს და შესაბამისად, გვიჭირს კადრის პოვნა. მზად ვართ ვასწავლოთ ხელობა და დავასაქმოთ ჩვენს სახელოსნოში ყველა, ვისაც შრომა არ ეზარება.“

შალვა ფორჩხიძე 19 წლის იყო შახტში რომ დაიწყო მუშაობა. ახლა მიწისქვეშა ელმავლის მემანქანეა და ყველა ჰორიზონტზე უწევს მუშაობა. პროფესიული განათლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალში მიიღო.

გარკვეული პერიოდით შალვა სხვა ქალაქში იყო სამუშაოდ წასული, თუმცა ტყიბულს დაუბრუნდა და მუშაობა მეგობრებთან, ავეჯის სახელოსნოში დაიწყო. ხელობას მალე დაეუფლა და დღეს უკვე ერთ-ერთი საუკეთესო ხელოსანია.

შალვაც მეშახტეების ოჯახიდანაა. მას ბაბუის სახელი ჰქვია რომელიც წლების განმავლობაში „სტალინის სახელობის შახტზე“ ნახშირის მომპოვებელ უბანში მუშაობდა. მამა დათუნა (დათო) ფორჩხიძეც მეშახტე იყო. 24 წლის შალვა ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

შალვა ფორჩხიძე: „ბაბუა და მამა მეშახტეები იყვნენ. ჩემი სურვილით, ყველაფრის გათვალისწინებით დავიწყე შახტში მუშაობა. ოთხი წელი გავიდა და დღემდე შემართებით ვმუშაობ. ჩემთვის, როგორც მეშახტეთა ოჯახის წარმომადგენელისთვის, არაა რთული შახტში მუშაობა. მიყვარს ჩემი სამსახური, კარგი თანამშრომლები და მეგობრები მყავს, მსიამოვნებს მათ გვერდით საქმიანობა.

საუკეთესო გუნდთან ვმუშაობ სახელოსნოშიც. ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ და ვცდილობთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები.

მიყვარს ჩემი ქალაქი და ტყიბულელები, სურვილიც არ მაქვს სხვაგან წავიდე სამუშაოდ და საცხოვრებლად, მშვენიერი ქალაქია. აკლია რაღაცები, მაგრამ იმედი მაქვს შეივსება, გაკეთდება, კიდევ უფრო გაიზრდება, გალამაზდება. ამის პერსპექტივა არის. ჩვენ, ახალგაზრდები, ჩვენებურად შევიტანთ წვლილს ქალაქის განვითარებაში, მინიმუმ იმით, რომ დავრჩეთ ქალაქში და ვაკეთოთ რაც შეგვიძლია.

ჩვენი ძირითადი შემოსავლის წყარო შახტაა, ყველა და ყველაფერი შახტაზეა დამოკიდებული. იმედია, მომავალში უფრო განვითარდება სამთო სფერო, მეტ ახალგაზრდას მიიზიდავს და ბევრი დაუბრუნდება ქალაქს. ეს კიდევ უფრო უკეთესს გახდის ტყიბულში ცხოვრებას!“

გაიცანით მასალების დამზადებისა და მიწოდების უბნის თანამშრომლები

ხის და მეტალის მასალებით „საქნახშირს“ მასალების დამზადება-მიწოდების უბნის თანამშროლები ამარაგებენ. ხის მასალები შახტზე არსებულ ხის სახერხში მუშავდება, მეტალის მასალები რკინის საამქროში. აღნიშნულ სამსახურში 14 ადამიანია დასაქმებული, მათგან ერთი ამწე მანქანის მემანქანე ქალია. თანამშრომლებს შორის თბილი, მეგობრული დამოკიდებულება მათ წარმატებულ საქმიანობაზე პირდაპირ აისახება. აღნიშნული სამსახური აქტიურად მონაწილეობს კომპანიის სპორტულ ღონისძიებებშიც.

მასალების დამზადების და მიწოდების ჯგუფის უფროსი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე **მალხაზ ერაძეა**. ბატონი მალხაზი ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ სწავლა ქუთაისის კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებელში გააგრძელა, რომელიც კულტურის მუშაკის კვალიფიკაციით წარმატებით დაასრულა. გარდა ამისა, პროფესიონალი მოცეკვავეა და წლების მანძილზე ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამლში, ასევე ტყიბულის ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავდა (რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ დამსახურებული ქორეოგრაფი, ამირან ქასრაშვილი).

ბატონი მალხაზი ე.წ. „ორჯონიკიძის სახელობის შახტში“ 8 წელი მუშაობდა (დალამვის უბანში). მომდევნო 4 წელი მექანიკურ საამქროში, ხოლო 2 წელი ტყიბულის ჩაის ფაბრიკაში იმუშავა. ამის შემდეგ ის „საქნახშირში“ დაბრუნდა სამუშაოდ. ათი წელია მასალების დამზადებისა და მიწოდების უბანშია დასაქმებული, ხოლო ბოლო ხუთი წელი ამ უბნის უფროსის პოზიციას იკავებს. ბატონი მალხაზი, თავისი პროფესიონალიზმით და თანამშრომლებთან მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევა. სწორედ ამის შედეგია, რომ ეს სამსახური ერთ-ერთი სანიმუშოა კომპანიაში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

მალხაზი ერაძე: “წლებია შახტში ვმუშაობ, ჩემი უბანი ხის და მეტალის მასალებს ამზადებს, რასაც შემდეგ შახტს ვაწვდით. კარგი თანამშრომლები მყავს, საქმიანი, პასუხიმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანები არიან. კომპანიისგანაც დიდ ყურადღებას ვგრძნობთ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქალაქში ვმუშაობთ და არ გვიწევს სხვაგან წასვლა, ოჯახის დატოვება. ჩვენს სახლში ვართ და აქ მიღებული ხელფასით ვარჩენთ ოჯახებს.

შახტა ჩვენი ქალაქის მამოძრავებელი ძალაა, რომლის გამართული მუშაობაც ქალაქის კეთილდღეობაზე აისახება.

მხერხავი **ელდარ ქურციკიძე** ხის საამქროში ასაკით ყველაზე უფროსია. 69 წლის მეშახტე იხსნებს, რომ შახტში მუშაობა მან ჯარიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყო. ის დღემდე შემართებით საქმიანობს. მხოლოდ რამდენიმე წელი იყო თბილისში წასული სამუშაოდ (როცა შახტში მუშაობა დროებით შეწყვეტილი იყო). შემდეგ ისევ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტის სახერხში დაიწყო.

ელდარ ქურციკიძე: „ჯარიდან რომ ჩამოვედი (1971 წელს), მაშინდელი „ლენინის სახელობის შახტზე“ დავიწყე მუშაობა. ნახშირის მოპოვებაზე მნგრეველად ვმუშაობდი. ამავე შახტის ხის სახერხში 9 წელი ვიმუშავე, შემდეგ 15 წელი „მინდელის სახელობის შახტის“ სახერხში ვმუშაობდი. თბილისში, კერძო სამსახურში ხუთი წელი გავატარე, რის შემდეგაც ისევ აქ დავბრუნდი. ათი წელია ამ პოზიციაზე ვმუშაობ. მიყვარს და მეამაყება ჩემი პროფესია, სამსახური და თანამშრომელები.“

გიორგი ისაკაძე: „მადლობა “საქნახშირს” მეშახტეების თხოვნის გათვალისწინებისთვის!“

სამსახურიდან მოშორებით მცხოვრები თანამშრომლებისთვის კომპანია „საქნახშირმა“ სპეციალური ტრანსპორტი გამოყო. მიკროავტობუსები ემსახურებიან როგორც ქალაქში, ისე სოფლებში მცხოვრებ მეშახტეებს, რაც მათ მნიშვნელოვნად უადვილებთ სამსახურში სიარულს. მეშახტეები, რომლებიც შახტის მიკროავტობუსების მომსახურებით სარგებლობენ, მადლობას უცხადებენ კომპანია „საქნახშირს“ და მიკროავტობუსის მძღოლებს.

მეშახტე გიორგი ისაკაძე თერჯოლის რაიონის სოფელ გოგნში ცხოვრობს. წლების მანძილზე, მისთვის ძალიან რთული იყო სამსახურში ფეხით სიარული. უკვე რამდენიმე თვეა, კომპანიამ გოგნში და მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მეშახტებისთვის მიკროავტობუსი დანიშნა.

გიორგი ისკაძე: „27 წლის ვიყავი შახტში რომ დავიწყე მუშაობა. ჯამში 24 წელი ვიმუშავე. ბოლო 11 წელია „მინდელის“ სახელობის შახტში ვმუშაობ, მეექვსე უბნის წმენდით სანგრევში, მუშად. ჩემი სოფლიდან შახტამდე 12 კილომეტრია და ბევრჯერ, დღის და ღამის მანძილზე, ეს გზა ფეხით გამივლია, რადგან ტრანსპორტის პრობლემა იყო. ღამით ჩირაღდანს და სანათებს ვიყენებდი გადასაადგილებლად. ათი წელი ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში გავატარეთ მეშახტეებმა, ვისაც საკუთარი ტრანსპორტი არ გვყავს. შემდეგ, მეშახტეთა პროფკავშირებთან ერთად, თხოვნით მივმართეთ შახტის ხელმძღვანელობას და ტრანსპორტი დაგვინიშნეს, რომელიც სოფელ ძევრში და გოგნში მცხოვრებ მეშახტეებს ოცდაოთხი საათის მანძილზე გვემსახურება. ამან ძალიან გაგვიადვილა გადაადგილება. ახლა უფრო იმედიანად ვარ და წლები ვაპირებ შახტში მუშაობას. მადლობას ვუხდით კომპანიის ხელმძრვანელობას ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილებისთვის და ჩვენი შრომის დაფასებისთვის. მე, როგორც რიგითი მეშახტე ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები.“

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა ევროპის ჩემპიონი, ილია სულამანიძე და მისი მწვრთნელები დააჯილდოვა!

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა, ახალგაზრდა, წარმატებული ძიუდოისტი ილია სულამანიძე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, ლაშა გუჯეჯიანთან და მის პირად მწვრთნელთან, გიორგი ობოლაძესთან ერთად დააჯილდოვა.

ილია სულამანიძე მიმდინარე წლის 5-7 ნოემბერს, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, ძიუდოში გამართულ 23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, 100კგ წონით კატეგორიაში, ოქროს მედალს დაეუფლა და უკვე მესამედ ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა სამშობლოში.

დავით ჩერქეზიშვილმა, ილიასა და მწვრთნელებს მიღწეული შედეგი მიულოცა, მადლობა გადაუხადა, წარმატებები უსურვა და თანადგომა გამოუცხადა. ამასთან ერთად, მერმა ილია და მისი პირადი მწვრთნელი, გია ობოლაძე მერიის სახელით ფულადი საჩუქრითა და მადლობის სიგელებით დააჯილდოვა. საგანგებოდ მოწვეულ სტუმარს, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლაშა გუჯეჯიანს კი, სამახსოვრო საჩუქარი და ქართული ძიუდოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

დავით ჩერქეზიშვილმა ტყიბულში ძიუდოს განვითარებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მერია ხელს შეუწყობს ძიუდოს სკოლის და ზოგადად, სპორტის ამ სახეობის კიდევ უფრო განვითარებას.

2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა და ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ირინე კორძაიამ ახალგაზრდებს სწავლის წარჩინებით დასრულება მიულოცეს, წარმატებები უსურვეს და შესაბამის სერტიფიკატებთან ერთად ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს. სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ სკოლის დირექტორებიც. მედალოსან კურსდამთავრებულებს, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით „ბიბლუსის“ სასაჩუქრე ბარათები გადაეცათ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წელებში გამოვლინდა 46 მედალოსანი, მათგან 37 ოქროს და 9 ვერცხლის მედლის კანდიდატი.



დავით ჩერქეზიშვილი: „მადლობა თითოეულ მეშახტეს, ყველა იმ ადამიანს, ვინც არჩევანი გააკეთა და მანდო ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარება!“

ტყიბულში, ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოების პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს ახალ პროექტებზე მუშაობა, რაც ასევე პოტენციურ ინვესტორებთან თანამშორმობლობისთვის მნიშნელოვანი წინაპირობაა.

ინფრასტრუქრურის ნაწილში ცვლილებები უკვე თვალშისაცემია, ძალიან მალე კი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი განვითარების ახალ ეტაპზე გადავა - ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ რათა ინფრასტრუქტურის განახლებასთან ერთად ქალაქს სრულიად ახალი, თანამედროვე ტიპის რამდენიმე ობიექტი შეემატოს, რაც დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენასაც გულისხმობს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა:

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულებას 27 ოქტომბრიდან შევუდექი და რასაკვირველია, ოფიციალურად დავტოვე „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ რექტორის პოზიცია. მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული სიტუაციის შესწავლის პარალელურად პირველი ეტაპის განსახორციელებელი სამუშაოების მომზადება დავიწყეთ, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე მიმდინარე პროექტების მონიტორინგს; 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებას, რომელიც უკვე გაზრდილია 19%-ით. ასევე, მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მერიაში სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების გადახედვას, საკადრო პოლიტიკის განვითარებაზე მუშაობას და ა.შ. საერთო ჯამში, საქმიანობა საკმაოდ დატვირთულად და ამავე დროს, ვფიქრობ, პროდუქტიულად დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ძალიან რთული თვე იყო ტყიბულისთვის. ვგულისხმობ ორ ძალიან სამწუხარო ფაქტს, როდესაც ერთი ადამიანი მდინარეში ჩავარდნის გამო დაიღუპა და ღია კარიერზე მომხდარ უბედურ შემთხვევას, რომელმაც ჩვენი ორი თანამოქალაქე იმსხვერპლა. ნოემბრის თვე მძიმე შემთხვევებით დაიწყო, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი აღარ ექნება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

2021 წლის პროექტები მართალც მრავალრიცხოვანია, დავასრულეთ ბოგირების და ხიდების რეაბილიტაცია სოფლებში: მუხურა, წყნორი, წყალწითელა, კორეეთი, ლაფეთი; სოფელ გურნაში საჯარო სკოლის სახურავისა და ტყიბულის მე-3 ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად, ტყიბულის მუნიციპალიტეტში დასრულდა ან მიმიდნარეობს 60-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი და სოფლის პროგრამის ფარგლებში არსებული 50-ზე მეტი პროექტი. მათ შორის შენობების ფასადების რეაბილიტაცია ქალაქ ტყიბულში (ჯამში 20 კორპუსი); შიდა ეზოებისა და სტადიონების კეთილმოწყობა, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ა.შ. ვიწყებთ გელათში 1,5 კმ გზის მონაკვეთისა და ტყიბული-სოჩხეთის გზის სრული რეაბილიტაციის სამუშაოებს. აუცილებლად გაგრძელდება სტადიონების, სკვერების, ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. მათი განხორციელება მომდევნო წლის განმავლობაში იგეგმება.

თანამედროვე ტიპის დასასვენებელი კომპლექსი „ცხრაჯვარზე“

ძალიან სასიამოვნო ამბავია, რომ „ცხრაჯვარზე“ პირველი უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება იწყება. იმ კონკრეტულ ლოკაციაზე, რომელიც პირველადი განაშენიანების გეგმის ფარგლებს გარეთ არის მოქცეული, მაღალი სტანდარტების, თანამედროვე ტიპის კომპლექსი აშენდება, რომელიც 40-მდე დამსვენებელს მიიღებს. კომპლექსი პრემიუმ კლასის 8 კოტეჯს მოიცავს, ასევე მოეწყობა თანამედროვე კვების ობიექტი. საინვესტიციო სამუშაოების ჯამური ღირებულება დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. პირველი საცხოვრებელი/ტურისტული კოტეჯის განთავსება ტყის ზონაში, უახლოესი ორი თვის განმავლობაში იგეგმება. კოტეჯების განთავსებისას და საერთო სივრცის მოწყობისას არცერთი ხე მოიჭრება, არ მოხდება არც მიწისა და რელიეფის სახეცვლა.

ეს არის პროექტი, რომელიც თავისი კონცეფციით ერთნაირად მიმზიდველი იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის და საფუძველს ჩაუყრის „ცხრაჯვარის“ და მთლიანად ტყიბულის უნიკალური ბუნებრივი გარემოს პოპულარიზაციას. მისი მიზანია „ცხრაჯვარის“ ტერიტორიის განვითარება, ტურისტული ბიზნეს-გარემოს ხელშეწყობა, ბუნებრივ გარემოში ეკო-ტურიზმით დაინტერესებული ტურისტების მოზიდვა, ვიზიტორების ნაკადის გაზრდა და რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივების დასაქმება.

პარალელურად ვაწარმოებთ ელ-ენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ვფიქრობთ, დავიწყოთ პირველადი საჭიროებების (გამაგრილებელი და ცხელი სასმელები) სერვისების უზრუნველყოფა. „ცხრაჯვარის“ ტერიტორიაზე დაგეგმილია მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებაც. ვგეგმავთ სალოცავამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობასაც.

ტყიბულის ცენტრის განვითარების პროექტი

ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ტყიბულის ცენტრის განვითარების პროექტზე მუშაობა გრძელდება. მიმდინარე წლის ოქტომბერში გამართული სამუშაო შეხვედრა მოიცავდა საგრანტო წინადადების ჩამოყალიბებას უცხოელ ექსპერტებთან ერთად. გამოიკვეთა პრიორიტეტები და განისაზღვრა ის კონკრეტული ლოკაციები, რომელთა განახლება და რეაბილიტაციაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტით უნდა მოხდეს. საუბარია გელათის ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციაზე, საფეხმავლო ქვაფენილების, სანიაღვრე სისტემების მოწყობაზე და ახალი, თანამედროვე ლამპიონების დამონტაჟებაზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მდინარის არსებულ მოაჯირს, შენობებს და მათ სახურავებს. განახლდება რკინიგზის სადგურისა და მიმდებარე შენობების ფასადები. აღნიშნულ ლოკაციაზე მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურული გარემო. როგორც უკვე აღვნიშნე, პროექტის დაფინანსება განსაზღვრულია საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის საგრანტო პროექტის ფარგლებში და იმედი მაქვს, მოვიპოვებთ აღნიშნულ გრანტს.

ტურიზმის განვითარება ტყიბულის მუნიციპალიტეტში

გარდა იმისა, რომ „ცხრაჯვარის“ სახით ტყიბულს უნიკალური კურორტის განვითარების შესაძლებლობა აქვს, თავად ქალაქს გააჩნია მნშვნელოვანი პოტენციალი, განავითაროს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება (ეკოტურიზმი, ისტორიულ მოვლენებზე დამყარებული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი და სხვა). დიდი პოტენციალი აქვს ძმუისისა და ცუცხვათის კანიონებს და მღვიმეს, ასევე ახალსოფლის ტბას, მოწამეთას და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამ მხრივ მუშაობა დაწყებულია - ახალსოფლის ტერიტორიაზე უკვე შემოვიდა ინვესტორი, რომელიც სანაპიროზე კოტეჯ-სასტუმროებს განათავსებს, ამას კი, თავის მხრივ, სანაპიროს განვითარება მოჰყვება. ვფიქრობ, ტყიბულის ცენტრში არსებული სასტუმროს შენობის რეაბილიტაციაც მალე დაიწყება. აღნიშნულ საკითზე ინტენსიურად ვმუშაობთ. ამ ადგილზე მრავალფუნქციური ცენტრი გაიხსნება, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს სასტუმროს, რესტორანს, მაღაზიებს, გასართობ სივრცეებს და კინოთეატრს. ამ ცენტრის არსებობა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტყიბულში ჩამოსული ტურისტებისთვის.

„საქნახშირის,“ როგორც ერთადერთი მსხვილი დამსაქმებლის როლი ქალაქის განვითარებაში

დღეის მდგომარეობით, „საქნახშირში“ 1200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. 1200-ზე მეტ ადამიანს აქვს სტაბილური სამსახური და გარანტირებული შემოსავალი. დასაქმების შესაძლებლობამ არაერთი ტყიბულელი დაუბრუნა მშობლიურ ქალაქს და საყვარელ ადამიანებს. მისასალმებელია საწარმოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის განსაკუთრებული კონტროლი და „საქნახშირის“ ზრუნვა საკუთარ თანამშრომლებზე. ნამდვილად დასაფასებელია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, საწარმოს ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია არცერთ მძმე ინციდენტს და პარალელურად, წარმატებით ხორციელდება შახტების განვითარება. გარდა ამისა, „საქნახშირს“ აქვს შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ტყიბულის განვითარებაში, ჩაერთოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ხელი შეუწყოს თითოეული მეშახტისთვის, თითოეული ტყიბულელისთვის კომფორტული სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შექმნას. მუნიციპალიტეტის მერიისთვის პრიორიტეტია, შევქმნათ შესაბამისი გარემო ბიზნესის ხელშეწყობისთვის, ამიტომ მივესალმებით ამ საწარმოს ნებისმიერ ინიციატივას, რომლის მიზანიც ტყიბულის განვითარება და ხალხის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება იქნება.

ახალი წლის საზეიმო ღონისძება

ვფიქრობ, წელს ტყიბულში განსაკუთრებული ახალი წელი გვექნება, განსხვავებული ნაძვის ხითა და ცენტრალური გამზირის საახალწლო მორთულობებით. ლამაზი ლოკაცია გვექნება მოსწავლეთა სასახლის ტერიტორიაზეც. პირველი ღონისძიება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 24 დეკემბერს ჩატარდა, რომელშიც ჩვენი, ადგილობრივი ანსამბლებიც იღებდნენ მონაწილეობას. 31 დეკემბერს გვექნება განსაკუთრებული გასართობი პროგრამა: დღის განმავლობაში, ქალაქის ქუჩებში კოსტიუმირებული წარმოდგენა გაიმართება, იმოძრავებს საახალწლო ავტობუსი და პატარებს დამდეგ ახალ წელს მიულოცავს. სოციალურად დაუცველებს და მრავალშვილიან ოჯახებს სპეციალურ საახალწლო ნობათს გადავცემთ. რაც შეეხება დღის ძირითად ნაწილს, „საქნახშირის“ ორგანიზებითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საახალწლო კონცერტი მოეწყობა. 31 დეკემბრის საახალწლო ღამეს მუსიკალურად გააფორმებს დიჯეი და ჯგუფი „რეგიონი.“ ჩვენ, ყველა ერთად, გრანდიოზული ფოიერვერკის თანხლებით, ღია ცის ქვეშ შევხვდებით ახალ წელს და იმედი მაქვს ახალი წლის ღამე ყველასთვის განსაკუთრებულად მხიარული და სასაიამოვნო იქნება.

ორი თვეა, რაც ოფიციალურად შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მეშახტეს, ყველა იმ ადამიანს, ვინც არჩევანი გააკეთა და მანდო ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარება. ეს ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. წინ უამრავი გამოწვევაა, რომლის გადალახვასაც დიდი ენთუზიაზმით შევუდექით. ჩვენმა გუნდმა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კონკრეტული მიზნები დავსახეთ და მთელი პასუხისმგებლობით შევუდექით დასახული ამოცანების გადაჭრასა და შესაბამის მოქმედებებს. ტყიბულში ახალი ცხოვრება იწყება და ამ საქმეში თითოეულ ჩვენგანს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. წარმატებას ვუსურვებ ყველა მეშახტეს და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.“

პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და ადგილობრივი ხელისუფლებისა და სს „ევექსის კლინიკები“- ტყიბულის კლინიკის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველ და მეორე კლასის მოსწავლეებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ.

სამი დღის განმავლობაში 198 ბავშვს, სს „ევექსის კლინიკები“- ტყიბულის კლინიკაში და ორპირის საჯარო სკოლაში, კონსულტაციებს უწევდა ბავშვთა ოფთალმოლოგი, ნათია დავითულიანი და ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი, ასოცირებული პროფესორი, მარიამ მიქიაშვილი.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობას პირადად დაესწრო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩერქეზიშვილი.

უფასო სამედიცინო პროფილაქტიკურ გამოკვლევებში ჩაერთვნენ მუხურის, საწირის, ახალსოფლის, ძიროვნის, ხრესილის, ორპირის, კურსების, გელათის, გურნის, ჯვარისის, სოჩხეთის, ცუცხვათის, ციხიის, ძმუისის და ქალაქ ტყიბულის საჯარო სკოლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში „ხრესილობა“ აღინიშნა

ხრესილის ბრძოლიდან 264 წელი გავიდა! ამასთან დაკავშირებით, მემორიალთან თემატური ხასიათის მცირე კულტურული ღონისძიება მოეწყო. ხრესილის ომის ისტორიული მონაკვეთის შესახებ მოხსენებები წაიკითხეს ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით შავიანიძემ და ხრესილის საჯარო სკოლის დირექტორმა ზვიად კუბლაშვილმა. საპატიო ყარაულში, ჩოხოსნებთან ერთად, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის ტყიბულის რაზმიც იდგა.

მუნიციპალიტეტის მერმა ინიციატივა გამოთქვა, რომ მომავალ წელს გაცილებით მასშტაბური ხასიათი მიეცეს „ხრესილობის“ აღნიშვნას, მათ შორს, მოეწყოს სამეცნიერო კონფერენცია ახალგაზრდების ჩართულობით.

1757 წლის მიწურულს, ქართველთა 15 000 კაციანმა ლაშქარმა მეფე სოლომონ I მეთაურობით, ხრესილის ველზე შემოჭრილ ოსმალთა 50 000-იან ჯარზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ეს ბრძოლა საქართველოს ისტორიაში ხრესილის ომის სახელით შევიდა. ორი საუკუნის შემდეგ კი, 2016 წლის 22 დეკემბერს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, იმერთა მეორე აღმაშენებლად წოდებული მეფე სოლომონი წმინდანად შერაცხა.

მედიაწიგნიერების პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება

ტყიბულში People in Need Georgia-ს მედია წიგნიერების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდული ინიციატივების შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

შეხვედრაზე კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ახალგაზრდებთან ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა “პროგრესის” ციფრული მოქალაქეობისა და მომავლის პროფესიების პროგრამების მენეჯერმა, თემურ ჯვარშეიშვილმა ისაუბრა.

ახალგაზრდული ინიციატივების ავტორებმა ელენე ახვლედიანმა (ინიციატივა „გზა კენწეროსკენ“ ავტორი), მარიამ ამბროლაძემ (ინიციატივა „ფოტოკლუბი, ციფრული უნარებისა და სამოქალაქო განათლებისათვის“ ავტორი), გიორგი ბოჭორიშვილმა (ინიციატივა „ინტერნეტ სივრცეში არსებული საფრთხეებისა და დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება ტყიბულში“ ავტორი) მოკლედ შეაჯამეს საკუთარი პროექტები.

პროექტის ფარგლებში, სხვა ღონოსძიებებთან ერთად, „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის“ ოფისში მცირე ბიბლიოთეკა მოეწყო, სადაც შესაძლებელია თანამედროვე ლიტერატურის გაცნობა.

შეხვედრაზე გამოვლკინდნენ ფოტო, წიგნიერებისა და ინტერნეტ უსაფრთხოების კონკურსების გამარჯვებულები, რომლებსაც წამახალისებელი პრიზები გადაეცათ.

ახალგაზრდებს პროექტების წარმატებით დასრულება People in Need Georgia-ს მედია წიგნიერების პროექტის კოორდინატორმა ქეთევან გოცირიძე-ბრეგაძემ მიულოცა.

პროექტი „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდმა“ ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრის TRANSITION-ის პროგრამის და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ზაზა გოჩელაშვილის ხელმძღვანელობით განახორციელა.

მადონა ქასრაძე
ააიპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი
#მეავიცერი
„პირველ რიგში, ვუფრთხილდები სიცოცხლეს. არ მინდა ჩემი აუცრელობით საფრთხე შევუქმნა გარშემომყოფებს. ავიცრათ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.“

რიმა გელაძე
ოჯახის ექიმი
#მეავიცერი
„აცრა არის ჩვენი იმუნიტეტის მზადება ინფექციასთან საბრძოლველად.“

ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე
ა.(ა).ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი
#მეავიცერი
„მე ავიცერი, რათა დავიცვა ჩემი და შენი ჯანმრთელობა.“

ირაკლი მერკვილაძე
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, სპორტსმენი
#მეავიცერი
„მე ავიცერი, რომ ერთად დავამარცხოთ კოვიდ ინფექცია.“


მარინა ტურაბელიძე-ჯანტურიძე
ტყიბულის მეექვსე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი
#მეავიცერი
„ავიცერი იმიტომ, რომ დავიცვა ჩემი და გარშემომყოფების ჯანმრთელობა.“

თეა ბოჭორიშვილი
სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ ოჯახის ექიმი
#მეავიცერი
„ვაქცინაცია პანდემიასთან ბრძოლის ეფექტიანი და უსაფრთხო გზაა. ის ამცირებს ავადობისა და სიკვდილიანობის რისკს.“

#მეავიცერი

მირზა ფანჩულიძე
„საქნახშირის“ საწყობის უფროსი
#მეავიცერი
„მე ავიცერი, რომ ჩემს გვერდით მყოფები, ჩემი ოჯახის წევრები დაცულები იყვნენ“

ვალერი გაბრიჭიძე
„საქნახშირის“ დაგეგმარებისა და ნორმირების განყოფილების უფროსი
#მეავიცერი
„ავიცერი, რომ ვირუსისგან დავიცვა საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, კოლეგები და გარშემომყოფები.“

გიგა ცნობილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი
#მეავიცერი
„მე ავიცერი ჩემი ქვეყნის უსაფრთხო და უკეთესი მომავლისთვის.“

საახალწლო ღონისძიება ტყიბულში

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ტყიბულში საახალწლო ღონისძიება გაიმართა. ყველა ასაკის ადამიანზე გათვლილი მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
ნოემბერი-დეკემბერი | 2021 | №14

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის" კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri